# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 8 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 74 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 74



აზნაური მიხეილ პეტრეს ძე, ექიმნი სტეფანე და სიმონ ტიმოთეს ძენი, ეკატერინა პეტრეს ასული მურვანიშვილები, ანნა სიმონის ასული და ივანე სიმონის ძე ბაინდუროვი შვილებით, კნ. ნინა გიორგის ასული ყიფიანისა, ივანე და პეტრე ანტონის ძენი ჩილაშვილები კოლშვილებით, ანნა ანტონის ასული ვართანოვისა ქმარშვილებით, როზა ანტონის ასული წერეთლისა ქმარშვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაცვალებასა პირველი უსაყვარლესის, დაუვიწყარისა და ძვირფასის დედისა, მეორენი ბიცოლასი, მესამენი, მეოთხენი და მეხუთენი რძლისა, ხოლო უკანასკნელნი დისა

## ანასტასია ანტონის ასული მურვანოვისას

(მეორე ქმრის მებუკისა)

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, საკუთარ სახლში ფოთის პოლკის მახლობლათ, მურვანოვის ქუჩის ყურე, გამოსვენება იქნება იმავე ადგილიდან სამშაბათს, 10 ივნისს დილის, 8½ ს. კათოლიკეთა ეკლესიაზე და იქიდან საფიჩხიის სასაფლაოზე. ბარათები არ დარიგდება

დაიწყო ხელის მოწერა

## ჯაჯუ ჯორჯიკიას

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის“ რედაქცია სერ. გერსამიასა და გიგლა მებუკეს.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყრომიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნინა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **ბაკურიანში** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ლამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში** **შუხუთში** **ჩიბათში** და **ლესაში** ფერმალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინმძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოღალევში** აქვსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მალაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვადასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **სააგარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

სპეციალური წიგნის მაღაზია

## კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**
**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½2მ |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი.**

## „რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 5 ივნისიდან, დაიწყო დიდი ახალი პროგრამა

მხოლოდ მოზრდილთათვის

პ ა ტ ე ჟ უ რ ნ ა ლ ი

მსოფლიო დღიური. სენსაცია! სხვის სახელით

თანამედროვე ოთხ მოქმედებიანი დრამა, სურათი ფერადოვანია. მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტები.

## ც ხ ო ვ რ ე ბ ა სიამოვნებისთვისაა.

ორიგინალური ფარსი „ნორდისკისა“, მონაწილეობას იღებს მშვენიერი ე ლ ზ ა ფ რ ე ი ლ ი ხ ი. მოწაფეებსა და ბავშებს შესვლა აღკრძალული აქვთ.

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

## ქ უ თ ა ი ს ი.
## თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან —დაბეჭდვისათანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

## ≡ რ ე ს ტ ო რ ა ნ ბ ო რ ჟ ო მ ≡

პუშკინის ქუჩაზე მყოფი, **ივლიანე და ირაკლი ბიბილეიშვილებისა და ილიკო კვერნაძის** ღვინისა და სხვა სასმელების სავაჭრო და ღამსათევი ოთახები (ნუმრები) ამა წლის პირველ ივლისიდან **ბადავა** ახალ ბინაზე ქარვასლის ქუჩა. ადანაიას შენობაში „ორიანტის“ გვერდში.

პატივისცემით ივლიანე და ირაკლი ბიბილეიშვილები და ილიკო კვერნაძე.

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
## კურსების მადნეული წყლის აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

ექიმი ბ. ა. **მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. **კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი ი. **ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს.

სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, ჰოლიცის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ექიმი ა. მ. **ახათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).


## ჩვენი პრესა.

იმის გამო, რომ ქუთათურმა "ნოქრებმა" ი. ევდოშვილს ბოიკოტი გამოუცხადეს „სახალხო ფურცელი“ ბ. სიტყვას პირით ამბობს:

დღეს შაბათს ქუთაისის თეატრში დანიშნულია სალიტერატურო საღამო ი. ევდოშვილის სასარგებლოთ. გაზეთებში ცნობა იყო, რომ ზოგიერთები აგიტაციას ეწევიან და ბოიკოტს უცხადებენ ამ საღამოსო. ეს გაუგებარი და დაუჯერებელი ამბავია.

ი. ევდოშვილს ქართულს მწერლობაში საპატიო და თვალსაჩინო ადგილი უკავია. მის ღრმანაღვლიანს და სევდიანს ლექსებს, ხალხის გულიდან ამონაკვნესს სიმღერებს, ხალხის ჭირვარამის გამომსახველს პოეზიას კარგათ იცნობს მკითხველი საზოგადოება. იგი არც ერთს პარტიას არ ეკუთნის, პარტიათა გარეშეა, მისი სამეფო მხოლოდ ქართული შემოქმედებაა, ქართული კულტურა, ქართული მწერლობა, რომელიც ერთნაირათ ძვირფასია ყველა მიმართულებისა და დასისათვის. ქართული პოეზიის ტაძარში გვირგვინებს არ ანაწილებენ პოლიტიკურ-პარტიულის იარლიკების მიხედვით; აქ ერთნაირათ პატივს სცემენ ყოველს ნიჭს და მხატვარს; აქ ერთნაირათ ღიაა კარები აკაკისა და ილიასათვის, არაგვისპირელისა და ევდოშვილისათვის, შანშიაშვილისა, გრიშაშვილისა, ფაშალიშვილისა, ბაბილინასი, მჭედლიშვილისა, აბაშისპირელისა, ჭიჭინაძისათვის და ქუჩიშვილის, რუხაძის, აბაშელის, იასამანის, თურდოსპირელი, ჩხიკვაძისათვის. ყველანი ძვირფასნი და პატივსაცემნი არიან იმისთვის, ვისაც უყვარს ქართული მწერლობა და მხატვრობა, ქართველი ხალხის განვითარება და დაწინაურება.

ი. ევდოშვილისთვის ბოიკოტის გამოცხადება—ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ფეხით გავთელოთ ჩვენი საკუთარი ღირსება, დავგმოთ, რაც კი მაღალია, ნათელი, გარდაუვალი, აღმაფრენი ჩვენში? ეს ხომ უარყოფაა იმის, რასაც ისე გატაცებით ვეტრფოდით და მივესალმებოდით ყველანი? ეს ხომ დავიწყებაა იმ ტკბილი წუთებისა, რომლებიც განგვიცდია ი. ევდოშვილის პოეზიით და კვლავ არა ერთხელ განვიცდით?

არა, ყოვლად დაუჯერებელია ეს ბოიკოტი. შეუძლებელია, გულის შემზარავია, უსაზღვროთ უკულტუროა და არა ადამიანური.—ბოიკოტით გასცეს ვინმემ პასუხი ავათმყოფს, დაუძლურებულს პოეტს ნაცვლათ თანაგრძნობისა, დახმარებისა და სიყვარულისა. ის ჩვენგან მეგობრულის, ამხანაგურის ხელის გამოწოდებას მოელის, რომ ფეხზე წამოდგეს და განაგრძოს მუშაობა და ამის მაგიერ დუმილით, ბოიკოტით და სიძულვილით ვუპასუხოთ?

ეს დაუჯერებელია!

გარწმუნებთ, რომ ეს ფაქტი ნამდვილათ მოხდა, სამწუხაროთ!..

## ძვირფასს მეგობარს.

უბედური ზნე სჭირს შავსა და ბნელ სიკვდილს! თუ ერთს ოჯახში დაიბუდა, ვიდრე თვალის ჩინს არ გამოაცლის, არ მოშორდება...

ჩვენ, ქართველ ხელოვანთა ოჯახშიც გაბატონდა ეს ვერაგი სიკვდილი!..

სულ რამდენიმე დღის განმავლობაში

დავკარგეთ კოტე მესხი, ალ. სარაჯიშვილი და გუშინ კიდევ მოგვივიდა გულსაკლავი ამბავი: „ხარკოვის საკატორღო ციხეში გარდაიცვალა მელიტონ გობეჩიაო“.

ამ მოკლე ამბავში მთელი ჯოჯოხეთია ჩაქსოვილი!

ციხე... კატორღა... სიკვდილი!

ეს სამი სიტყვა ნათელ ჰყოფს დღევანდელ დღის სიცხადეს. ეს სამი სიტყვა შეიცავს მთელ წამებას, მთელს გოლგოთას ჩვენის ცხოვრებისას და გახურებული შანთებივით უვლის ჩვენს ტვინსა და გულს!

ეს სამი სიტყვა დედა ბუდიანათ სპობს ადამიანის აღმაფრენას, აშინებს, ჰზარავს მას და თავის გაჩენის დღეს აწყევლინებს!... კაცს, ადამიანს გწყურია თავისუფლება და მყრალ ციხეში კი ემწყვდევი.

კაცს, ადამიანს გსურს სხვის განკაცება და კატორღაში კი ამოჰყოფ თავს.

კაცს, ადამიანს,—ჯერეთ ცხოვრების უნახავს, ნორჩს ახალგაზრდას, ჯანითა და ღონით სავსეს გენატრება სიცოცხლე, ცხოვრება, სიყვარული, ბრძოლა სიკეთისათვის და სწორეთ იმ დროს, როდესაც ოცნების მშვენიერ კოშკებს აშენებ, სწორედ იმ დროს, როდესაც მზათა ხარ შავარდენივით გადმოფრინდე ოცნების მთის მწვერვალიდან და შეიტანო შენს ხალხში გრძნობა სამართლიანობისა და ქადაგება ძმობა ერთობისა, როდესაც მზათა ხარ მტლად დაედო შენს ტანჯულ ქვეყანას და ერს, რომ მით ნაგალითად გაუხდე შთამომავლობას, მოდის საზიზღარი კბილებ ჩაცვენული ჩონჩხი—სიკვდილი თავის ცელითა და... ჰქრები, ვით ყვავილი მთისა და ბალახი ველისა!...

ამაზე მეტი უსამართლობა კიდევ იქნება? ამაზე მეტი თავზარდამცემი ამბავი განა შეიძლება?... გასძეხ, ვერაგობავ, შენის ბოროტებით და ამოიღრჩვე შენსავე გესლში!..

ჩვენ კი ვერ დაგვიშლი ვიტიროთ ის, ვინც მოსწყდა ჩვენ გულის სიღრმეს, ვერ დაგვავიწყებ იმას, ვინც თავი დასდო თანამოძმეთათვის, ქვეყნის სიკეთისათვის...

ასეთი იყო მელიტონ გობეჩიაც. მწერალი, ევროპიულათ განათლებული, დიდათ ზრდილი ახალგაზრდა და სამშობლოს ღვთაებათ გულში მატარებელი მელიტონ გობეჩია...

მე ჯერაც არ მჯერა, თუ ის მკვდარია! ჩემი გონება ვერ შესჩვევია ამ აზრს თუმცა გული ჩემი დუღს მწუხარებისაგან და მწვავე ცრემლები ღაწვებსა მწვავს!

ოცნებით თავს დავსტრიალებ მელიტონის დარკინულ საკანს. მის გვერდით ვზივარ და ჩავყურებ მომაკვდავ შავ თვალებში.

აი, წევს იგი მარტოთ მარტო სასიკვდილო სარეცელზე, ოხრავს, გმინავს, თხოულობს ჰაერს და წყალს,—სამშობლოს ცასა და წყალს,—მაგრამ გამგონე ვინ არის?...

პირქუში დარაჯი ასასივით აყუდებული მის სარკმელთან...

შავი სიკვდილი კი ფეხ-აკრეფით ეპარება მის სარეცელს...

ცოტა კიდევ და სული მისი გამოფრინდება სამშობლოსაკენ, რომ აქ მოევლოს იგი ტურთა კოლხიდას და დაჰქვითინოს თავისი სხეულის ცივ საკანში დატოვებისათვის!...

მაგრამ მას უნდა სხეულითაც აქ, თავის სამშობლოში იყოს, მას, მომაკვდავს, ერთხელ კიდევ სურს ემბოროს ბებერ დედის ძუძუებს, ერთხელ კიდევ გადახედოს სატრფოს, ერთხელ კიდევ ისუნთქოს სამშობლოს ჰაერი, ერთხელ კიდევ დაიტიროს თავისი უდროოთ დაკარგული ვაჟკაცობა...

და ისიც ებრძვის სიკვდილს, ებრძვის ისე მედგრათ, როგორც ებრძოდა იგი უსამართლობას!—ნენა! საყვარელო ნენა!.... მიშველე, მომხედე... ვკვდები ციხეში... ვკვდები უპატრონოთ. ვკვდები სიმართლისათვის!.. წაიღეთ მაინც ჩემი ოცნება და ჩემს ტანჯულ ქვეყანას თავს შემოავლეთ!...

საბრალო, უბედურო დედავ, საწყალო დატანჯულო სამშობლოვ, საცოდავო თანამოძმენო.

არ გესმით ხომ სიტყვა თქვენის ძვირფასისა!...

სიკვდილმა ხმა ჩაუწყვიტა...

მეც მეტი წერა აღარ შემიძლია ცრემლები მარჩობს... კალამი აღარ მემორჩილება...

**ია ეკალაძე.**

## დეპეშა.

,,სახალხო ფურცელში'' ქუთაისიდან შემდეგი შინარსის დეპეშაა მოთავსებული:

რადგანაც სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელი კორიცკი მოწაფეებ-სა და მასწავლებელთა მიმართ მართებულად არ იქცეოდა, ქუთაისის სათავად-აზნაურთა გიმნაზიის ადმინისტრაცია, მოსალოდნელ გაუგებრობათა ასაცილებლად, იძულებული შეიქნა მოწაფეთა მორიგი გამოცდა გადაედვა იმ დრომდი, სანამ სამოსწავლო ოლქიდან ამ საქმის თაობაზე სათანადო განკარგულებას არ მიიღებს. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დასაბუთებული დეპეშა გაუგზავნა.

გაზეთ „იმერეთის“ რედაქცია ჰგლოვობს ახალგაზდა მწერლის და ქართველი ხალხის მოამაგის მელიტონ გობეჩიას დაკარგვას.

ნეკროლოგი შემდეგ დაიბეჭდება.

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნუმრებში დაიბეჭდება ბ. ბაზიანის წერილები, რომელიც ლონდონიდან მივიღეთ.

✦ 10 ივნისისათვის დანიშნულია ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის მოსამსახურეთა საგანგებო კრება. განსახილველია საპენსიო კასის წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლა და დამატება. თუ ეს კრება 10 ივნის არ შესდგა, იმ შემთხვევაში 17 ამავე თვისთვის გადაიდება.

✦ 5 6 ივნისს ს. ნიკორწმინდის (რაჭის მაზრა) მცხოვრებლებს დაურიგეს 6000 ფუთი სიმინდი. სიმინდის დარიგებას დაესწრო რაჭის მაზრის უფროსი ბ-ნი გამრეკლიძე.

✦ დღეს ქალაქის თეატრში დილის 10 საათზე, ქუთ. გუბერნატორის განკარგულებით შესდგება მდაბიო მოქალაქეთა წლიური კრება. კრებაზე შემდეგი საკითხებია გასარჩევი:

1) მდგომარე 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა სამართველოს შესახათ; 2) 1913 წლის ხარჯის განაწილება მოქალაქეთა შორის; 3) მამასახლისის არჩევა, და 4) ხარკის ამკრეფის არჩევა. ეს კრება წელს მეოთხეთ არის დანიშნული და ყოველთვის დაუმთავრებელათ იხურებოდა,

✦ 6 ივნისს საფიჩხიაზე მცხოვრებ ერმილე აბესაძის სახლში ღამით შეპარულა ვიღაც ბოროტგამზრახველი და წაუღიათ გასარეცხათ გამზადებული თეთრეული სულ 70 მანეთად ღირებული. ბოროტგამზრახველი ვერ აღმოაჩინეს.

✦ 12 ივნისს საოლქო სასამართლოში გაირჩევა ივანე შავდიას, ივლიანე შელიას, ვლადიმერ ამანდაძისა და სიმონ რიკაძის საქმეები.

✦ ოკრიბლებს კიდევ შიმშილი მოელისთ. როგორც იქიდან გვატყობინებენ, სიებში შეტანილი ნახევარიც არ ყოფილა და გასაჭირი კი ყველას ერთნაირი აქვს.

✦ ორშაბათს, 9 ივნისს, ქუთ. ქალაქის საბჭოს მორიგი კრება შესდგება. კრებაზე განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) საჩივარი ყოფილი ბაზრის ზედამხედველის თანაშემწის ლოდობერიძისა, გასვეობისაგან უსამართლოთ სამსახურიდან დათხოვისთვის; 2) მოხსენება გამგეობისა ქალაქის მამულის ოცხელისა და გველესიანის მამულზე გადაცვლის შესახებ, რომელიც ქალაქის თეატრთან მდებარეობს; 3) ცნობა კავკასიის ოლქის მზრუნველისა შესახებ იმისა, რომ ქუთაისში გაიხსნას საშუალო-სამთო-საქარხნო და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკური სასწავლებელი; 4) თხოვნა ქუთაისის მეეტლების ნიხრის გადიდების შესახებ; 5) თხოვნა ელენა ჯინოევისა, რათა მას უფასოთ დაეთმოს ეკლარის ქვის სატეხიდან ეკლარის ქვა ეპისკოპოზ გაბრიელის სახელობაზე სამკითხველოს შენობის ასაგებათ; 6) თხოვნა გძელიშვილის ქვრივისა ერთდროულ დახმარებაზე; 7) თხოვნა სავაჭროების მეპატრონეებისა ნოქართა ნორმალური დასვენების სავალდებულო წესდების რამდენიმე მუხლის შესაცვლელათ და სხვა. სულ გასარჩევია 27 საქმე.

✦ სახალხო შკოლების დირექტორს ნება დაურთავს, ჭიათურის შავიქვის საბჭოს ხარჯით გაიხსნას ს. ითხვისში (შორაპნის მაზრა) სამინისტრო შკოლა.

✦ 5 ივნისს დააპატიმრეს გაზეთ „აზრის“ რედაქტორი, გაზეთში საწინააღმდეგო წერილის მოთავსებისთვის. ამის გამო, გუშინ ხსენებული გაზეთის მორიგი ნუმერი არ გამოსულა.

✦ 5 ივნისს ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ, არჩილ ბარათაშვილმა, ორპირის ქ. ოქმი შეუდგინა მეპურე ჯაბუ დავითის ძე ნადარეიშვილს, პურის ნიხრის დარღვევისათვის.

✦ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ჭიათურიდან გაუზიდავთ 1.700,000 ფუთი შავი ქვა.

ქუთაისში საშუალო სასწავლებლებში გამოცდები უკვე დასრულდა, გარდა ქართული გიმნაზიისა.

✦ 5 ივნისს ქუთ. დაიწყო ჭიათურის შავიქვის საბჭოს მორიგი კრება, კრება რამდენიმე დღეს გასტანს.

✦ პეტერბურგის ბირჟაზე 6 ივნისს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად და 10 შაურათ ფასობდა.

### ოზურგეთი.

ფონ-შმედელის კამპანია უკვე შეუდგა ღრმა ბურღვას (глубокое буреніе). სამს ადგილას დასდგა კოშკები, რომელთაგან უფრო მეტს ყურადღებას იპყრობს ის, რომელიც ომფარეთის ტყის (მიქელ-გაბრიელის საზოგ.) მახლობლადაა დადგმული. აქ გასჭრეს მიწა 120 საჟენის სიღრმეზე და საიმედო ნიშნები აღმოჩნდა (მაზუთი). თითქმის ყოველდღე იკრიბებიან შმედელის კანტორაში სპეციალისტი მომუშავეები ნავთის საქმისა და სწრაფ თათბირს ახდენენ. საზღვარგარეთიდან მოვიდა პროფესორი გეოლოგიისა ნოტტი, რომელიც მეორე დღესვე გაემგზავრა ომფარეთის ნიშნის დასათვალიერებლათ. შედეგს საიდუმლოთ ინახვენ. მეორე და მესამე კოშკი დადგმულია სოფ. სამხთოში (მიქელ-გაბრიელი) და სოფ. არალ-საყდარისა და კონჭვათის საზღვარზე (ხვარბეთის საზოგადოება). ახლო მომავალში შმედელი აპირობს სამი კოშკის დადგმას სოფ. კონჭვათში და აქიდან ჯუმათშიც უნდა გადავიდეს. კერძოთ კონჭვათზე ის დიდ იმედებს ამყარებს, [illegible] კერძო პირებს კანტორის ნებადაურთველათ არ შეუძლიათ.

### თეატრის კურთხევა ოზურგეთში.

1 ივნისს ოზურგეთში აკურთხეს ახალი სათეატრო შენობა (ელექტრო-თეატრი) დეკანოზ დ. დუმბაძისა და სხვა ადგილობრივ ღვდელთა თანამწირველობით. კურთხევის შემდეგ, რომელიც მოხდა დღის 12 საათზე, ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა თავ. კ. ერისთავმა წარმოსთქვა სიტყვა და მადლობა უძღვნა თეატრის დამაარსებელთ ბ.ბ. ვ. გოგიტიძეს, გრ. ჩიჩუას და აბაშიძეს. სხვა სიტყვებისა და მისალოც დეპეშების წაკითხვა საღამოსათვის გადასდვეს.

საღამოს ცხრა საათზე აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდენ თეატრის დამაარსებელნი, ადგილობრივი სცენისმოყვარენი და მათ წინ ვლ. ალექსი-მესხიშვილი. სადღესასწაულო ზეიმი წუთით მწვავე მოგონებამ შესცვალა. თეატრში შეკრებილმა საზოგადოებამ მესხიშვილის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივისცა მსახიობისა და მწერლის კოტე მესხის ხსოვნას.

დაიწყო სიტყვები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ვლ. მესხიშვილმა. უძღვნა რა მადლობა თეატრის დამაარსებელთ, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ საქმიდან, გარდა ხსოვნისა და სახელისა, ისინი მოგებას არ უნდა მოელოდენ, რადგან ეს მე გამოცდილებით ვიცი. მეორე სიტყვა წარმოსთქვა ბათომის ქართული დრამატიული დასის სუფლიორმა ვ. ქავთარაძემ. ის მოკლედ შეეხო თეატრის ისტორიას სხვაგან და ჩვენში. გ. მუმლაძემ აღნიშნა თეატრის მნიშვნელობა, როგორც ისეთი კულტურული დაწესებულებისა, სადაც თავისუფლათ გაისმის ქართული ენა და დაცულია ერის ეს ერთადერთი ძვირფასი განძი. ამას შემდეგ ბ-ნ მუმლაძემ წაიკითხა სხვადასხვა კუთხიდან და დაბა-ქალაქებიდან გამოგზავნილი მისალოცი დეპეშები, რომელთა რიცხვიც ოცდაათს აღემატებოდა. იყო დეპეშები თფილისის, ნაძალადევის, ჭიათურის და ბაქოს დრამატიული საზოგადოების გამგეობათაგან, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-საგან, რეჟისორის ალ. წუწუნავასა და მსახ. ვ. ურუშაძისაგან. კერძო პირთა დეპეშები: თავ. ნიკო თავდგირიძე, ნიკო ჯანაშია, ექიმი ჩხენკელი, თ. კიკვაძე, ალ. ყორყოლიანი, ალ. მითაიშვილი, ვას. მგალობლიშვილი, ვექილი ბებურიშვილი, ვ. ქიქოძე, დ. სიმვულიდი, ნ. შაფაქიძე, ოფიცერი სიამაიშვილი, რიონის მასწავლებლები, ღვდ. ეპ. ჩხაიძე, გურიის

# სტუმარი.

მოხუცი და საკმაოთ დაუძლურებული ექიმი მალხაზ ქადაგიძე, რაღაც ჯადოსნურ ძალის ზეგავლენით, მოულოდნელათ გაახალგაზდავდა. ტანში უცნაურ ძალის მოზღვავება იგრძნო: ოც წლოვან, გიჟ-ოცნებით შეპყრობილ ჭაბუკს დაემზგავსა; თეთრში გამოეწყო და ქალაქის ქუჩებში დაიწყო ხეტიალი.—„გასაოცარია, ღმერთმანი, გასაოცარი—ფიქრობდა მალხაზი—„რატომ ამდენხანს ვერ ავართვი ცხოვრებას ალღო; ორმოცის წლის განმავლობაში ლამის წელში გამწყვიტა ავათმყოფებთან ქაქანმა; თავისუფლად არ ამომისუნთქავს; რა სულელი ვიყავი—მალხაზი აჩქარებით მიაბიჯებდა განიერ ქუჩაში: არ უნდოდა შეემჩნია ჭიანჭველასავით მოფუსფუსე ქუჩის მტკეპნელთა ბრბო. თითოეული გამვლელის სახე ეკალივით ეჩხირებოდა თვალებში და ეს მოფუსფუსე ბრბო წარმოედგინა ერთ უზარმაზარ კითხვითი ნიშნად, რომელსაც არც დასაწყისი უჩანდა და არც ბოლო.

—„მალხაზს ვახლავარ!—„საით ინებეთ გამგზავრება!—,,დილამშვიდობისა, მალხაზ! მოისმოდა გარშემო ნაცნობი ხმები, მალხაზი ზანტად უხდიდა ქუდს; ცდილობდა პირდაპირ არავისთვის შეეხედა და ფიქრობდა:—,,ნურას უკაცრავად, ბ-ბო! წავიდა ის დრო, როცა თქვენს ჭირს და ლხინს ვინაწილებდი; ორმოცი წელი შევალიე თქვენს სამსახურს; ახლა კი მშვიდობით... ნება მიბოძეთ თავისუფლად ამოვისუნთქო! თვით ქალაქი საუცხოვო იყო: ისეთი, როგორიც მალხაზს ბავშვობისას ზღაპრებში ამოეკითხა უზარმაზარი ციხე-კოშკები და ერთმანეთზე გადაწნულ-გადახლართული მრავალ-სართულიანი შენობები ცოცხალ არსებასავით ქანაობდენ, თითქო ადგილიდან მოწყვეტას და სადღაც შორს გადაფრენას ლამობენო, ამაყად აზიდული და ხშირ ნაპრალებით დასერილი კლდეები დარაჯათ ედგა ამ საზღაპრო ქალაქს. ვებერთელა მდინარე, რომელიც ნაპრალებიდან გიჟურ ხრიალით გადმომჩქეფარ ნაკადებისაგან შესდგებოდა, შუაზე ჩამოუდიოდა ქალაქს. მდინარე სწრაფი და კუპრივით შავი იყო: მქუხარე ზვირთებში ნაცარ-ტუტათ ქცეული სიპი კლდის შლამი და ნაპირებზე მოტბორილი ქვიშა ტივტივობდა. ლენტივით ვიწრო და საქანელსავით მარხევი ხიდი აერთებდა ერთმანეთზე მოწყვეტილ ქალაქის უბნებს. ხიდის აქით-იქით თავში ხალხი ბუზივით ირეოდა, მგზავრები ჭიანჭველასავით მიცოცავდენ საზედისწერო ხიდზე. უმეტესობა გულდამშვიდებული გადადიოდა ნაპირზე; არც კი გაუკვირდათ, თუ რა საშიშროებას ასცდენ; ზოგს კი ფეხი უსხლტებოდა და გიჟ-ზვირთების სხვერპლი ხდებოდა. გადარჩენილთა მიშველება აზრში არავის მოსდიოდა, თითქო აუარებელი სხვერპლი ბუნებრივი ყოფილიყოს.

საუცხოვო ვარჯიშობაა... მეც უნდა ვსცადო ნაპირზე გადასვლა!—გაიფიქრა მალხაზმა, ხიდს რომ მიუახლოვდა, ყურთმაჯი წაიწია და ხიდზე ამპარტავნულათ შესდგა. ,,ბრრ...—მოისმა ქვევიდან ტალღების ღრიალი. ,,არ მეშინიან!—თითქმის ხმა-მაღლა სთქვა მალხაზმა და გაბედულათ გასწია წინ. -,,ვერ გადახვალ'' დაიყმუვლა საიდგანღაც.—,,ვერ გადახვალ!—იღრიალა ნაპირებზე შექუჩებულმა ბრბომ. ხიდი დაინჯღრა; მალხაზი შეტორტმანდა, ყირამალა გადაეშვა მდინარეში და... გამოეღვიძა.

მალხაზი ლოგინში ნაბენივით მოიკრუნჩხა; ხელები უაზროთ შეათამაშა.—,,ახირებული სიზმარია, ღმერთმანი, სულელური და დამტანჯავი... ეშმაკმა უწყის რას ნიშნავს!''—გაიფიქრა მალხაზმა, ცივი ოფლი მოიწმინდა და მოუფიქრებლათ პირჯვარი გადაისახა. მალხაზი კარგა ხანს იწვა უძრავად, მოდუნებული სხეული უთრთოდა; ტანში უსიამოვნო ჭიანჭველები უვლიდა; სიზმარი ცხადისაგან ვერ გაერჩია. ღრია თვალებს ხუჭავდა, ხან ძალდატანებულად აჭყეტდა.

ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა მალხაზის მეუღლე, ხანშესული, მაგრამ საკმაოდ მიმზიდველი სახის მანდილოსანი, პირი შეიმშრალა და სარკის წინ თმები გაისწორა.

„ქეთო ხარ?—მილეული ხმით იკითხა მალხაზმა, თვალებზე მიფარებული საბანი მოიშორა და ამოიოხრა.

„რა გნებავს, მალხაზ, ძილი ხომ არ დაგიფრთხე?—გამოეხმაურა ქეთო, თავი მოიბრუნა და ქმრის გაფითრებულ სახის დანახვაზე თვითონაც ამოიკვნესა.

მალხაზმა ხმა არ გასცა. კლავები თავქვეშ შემოიწყო და თვალი ფარდის ქვეშიდან შემოჭრილ დილის მზის სხივებს გააყოლა. კედლის საათმა რვაჯერ დააჟღარუნა; სასადილო ოთახიდან სამოვრის გუზგუზი შემოისმა.

—„როგორი ცუდი ფერი გადევს, მალხაზ, შეუძლოდ ხომ არა ხარ?—დაარღვია სიჩუმე ქეთომ, სარკეს მოშორდა და ქმრის სარეცელთან გაჩერდა.

—„მე ისე... არა უშავს რა... იცი, ქეთო, რა სულელური სიზმარი ვნახე?.. მდინარეზე გადავდიოდი და... შუა ხიდიდან კი გადავიჩეხე... ხე... ხე... ხე!.. სულ მოხუცებულობის ბრალია, თორემ ასეთი მარცხი როდი მომივიდოდა!—ძალდატანებულად ჩაიცინა მალხაზმა და მხიარული სახის მიღება სცადა. ქეთო მოულოდნელად გაფითრდა; ხელები გაუჩერდა და ცხვირს დააცემინა.

—„ეს წყალში გადაჩეხა კარგს არ მოასწავებს... მეც ახირებული სიზმრები ვნახე... ნეტავი ვაღიკოს არაფერი შეემთხვეს და...—წაიბუტბუტა ქეთომ და ღვრია თვალები მოვარაყულ ჩარჩოში ჩასმულ სურათს მიაშტერა, რომელზეც სტუდენტის ტანსაცმელში მიმზიდველი სახის ახალგაზდა იყო გამოხატული.

—„რად იცი, ქეთო, რომ ყველაფერს ვაღიკოზე გადაიტან ხოლმე. არა ერთხელ მითქვამს, რომ სიზმარი უბრალო ბურუსია, რომელიც გამოღვიძებისთანავე ჰქრება და მეტი არაფერი... მაგრამ შენ არ გსურს ეს შეიგნო, დიახ, არ გსურს!..—გაჯავრდა მალხაზი და გაიფიქრა:—„თვით ვარ დამნაშავე: კარგად მესმის სიზმარი სჯერა; რად წამოვროშე!

—შენ მაგრე იცი ყოველთვის: განგებ არ გინდა ვაღიკოზე ვიფიქრო. მე კი ასე ყოფნა არ შემიძლია; ყველაფერს საზღვარი აქვს“.—წყენით უპასუხა ქეთომ, ნაღვლიანი თვალები სურათს უკანასკნელად გადაავლო და სასადილო ოთახში გავიდა.

—„დედის გული სიყვარულის დაუშრეტელი ზღვა არის“—მოიგონა მალხაზმა საიდგანღაც ამონაკითხი წინადადება, პირქვე გადატრიალდა და დაუმატა“: —მართლაც, შვილისადმი სიყვარულში დედის გული სხვა არის... მაგრამ, განა მე კი მძულს ვაღიკო?.. რა ჩემი ბრალია, თუ გრძნობას დედასავით არ ვემორჩილები!..

ოთახში გასული ქეთო ფიქრმა მოიცვა, სავარძელში ჩაეშვა და თვალები ერთს წერტილს მიაშტერა.—„რად ვარ ასე უბედური“—„ფიქრობდა ქეთო.“—„სხვა დედებს შვილები მუდამ თავს დასტრიალებენ, არ შორდებიან, მე კი... ეჰ, ჩემო დედის ერთავ... სამი წელია ვაღიკოსათვის თვალი არ შემივლია. ნეტავი მანახვა მაინც! ქეთოს, თითქოს გადმონთხევას ლამობსო, გულის კოვზთან რაღაცა უტრიალებდა. ტანში უმძიმდა და დაღლილობას გრძნობდა. კედლის საათის რაკა-რუკი და სამოვრის გაბმული ჩუხჩუხი სმენას უწამლავდა. მაგიდაზე მოფუსფუსე ბუზები ხორცმეტათ ქცეულ მუწუკებათ ეჩვენებოდა.

ქეთო ოცის წლის ძლივს იქნებოდა, რომ მალხაზს მითხოვდა. ღარიბი ოჯახის შვილი და ცხოვრებაში გამოუცდელი ქეთო მოიწონა საკმაოდ ცნობილმა მალხაზმა. მოწონებას შეუღლება მოჰყვა და ქეთოც ანგარიშმიუცემლათ ცხოვრების ფერხულში ჩაება.

—„ბედნიერი ხარ, ქეთო, ბედნიერი: მალხაზის ცოლობას მთავრის ქალიც ვერ

ნავთის კორპორაციის დირექტორის ფონ-შმედელი და სხვ... დეპეშების წაკითხვის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. ითამაშეს „კრეჩინსკის ქორწინება“, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ ბ.ბ. ვლ. მესხიშვილი და იუზა ზარდალიშვილი.

თეატრის კურთხევას ცუდი ამიდი დაესწრო. იყვენ მოპატიჟებულნი სხვადასხვა კუთხეებიდან და ქალაქებიდან. უმეტესობა მოპატიჟებულებისა არ მოსულა. მიუხედავათ ამისა, ბილეთები დილიდანვე უკვე გაყიდული იყო.

duo.

P. S. თეატრის ადმინისტრაციას ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიუღია. თეატრში ადგილი დაუთმიათ მხოლოდ „სახალხო გაზეთისა“ და „აზრის'' წარმომადგენლებისათვის. დანარჩენ რედაქციებიდან მოსალოდნელია ერთი ადგილი ბათომის რომელიმე გაზეთს დაეთმოს. ასეთი გადაწყვეტილება, ვგონებ, საქართველოში არსებულ არცერთ დრამატიულ საზოგადოებას ჯერ არ მიუღია. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელი დრამატიული საზოგადოების წესებს შეუთანაბრა ასეთი გადაწყვეტილება ბ-ნ ვ. გოგიტიძემ. პირადათ მე მადლობელი ვარ მისი, რადგან ადგილი დამითმო და მომცა საშუალება წარმოდგენაზე დასწრებისა, მაგრამ ვაი ასეთ დასწრებას! პირველი მოქმედების შემდეგ, ვიწრო კულისებში დაუტევლობისა გამო, იძულებული გავხდი თეატრი მიმეტოვებია.

d.

# თფილისი

საწყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციამ თვისის ყოფილ თანამშრომლის, ალ. სარაჯიშვილის ხსოვნის პატივისაცემლათ შესწირა ქართულ მუზეუმს „ჯეჯილის“ 25 წლის სრული კომპლექტი და სხვა გამოცემანი.

— თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ მამულო ბანკმა ასი მანეთი შესწირა ნაცვლათ გვირგვინისა.

— ძმებს ზუბალაშვილებს ქალაქის გამგეობამ გუშინ გაუგზავნა მშვენიერ ყდაში ჩასმული ალბომი, სადაც მოთავსებულია სახალხო სახლისა და საბავშო საავადმყოფოს სურათები.

მოსკოვის პროფესორთა ჯგუფი პროფ. კოლცოვის მეთაურობით თფილისს ეწვია. მათ გუშინ ქართული საეთნოგრაფიო მუზეუმი დაათვალიერეს.

ავჭალის წყალსადენისთვის ქალაქის გამგეობამ უკვე შეუკვეთა საზღვარგარეთ ორი დიზელი. ამჟამათ წყალსადენი დღეში იძლევა 1.200.000 ვედრო წყალს.

— მოტოციკლების შეჯიბრება გაიმართება თფილისში 8 ივნისს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 30 მეტი მოტოციკლი. მოტოციკლები თფილისიდან დუშეთს წავლენ და თფილისშივე დაბრუნდებიან. დანიშნულია ჯილდო.

— იუბილე. 1915 წლის 1 იანვარს 40 წელიწადი სრულდება, რაც თფილისში საქალაქო დებულება არსებობს. ამის გამო ქალაქის გამგეობამ ქალაქის მდივანს ა. ი. სტავროვსკის დაავალა, შეადგინოს მიმოხილვა თფილისისა.

— ხორცის ვაჭრობა. გამგეობის წევრმა მ. ა. ჯაბარმა მოიწვია ყასაბთა წარმომადგენელნი და გამოუცხადა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც თფილისში ხორცის ნიხრი უნდა გაუქმდეს. ყასბებმა იმედი გამოსთქვეს, რომ ნიხრის გაუქმება ხელს შეუწყობს ხორცის გაიაფებას. ყასბებმა განაცხადეს, რომ ხორცს ოთხ ხარისხათ დაყოფენ და ფასებს გამოკიდებენ.

## პასუხი ტირიფონელებისა.

ჩვენამდი მოაღწია ხმამ „ახალ ფიქრში“ და „აზრში“ ყოფილიყოს მოთავსებული შემდეგი წერილი, ვითომც ტირიფონის ველზე მოსახლე გლეხთა შორის არ ყოფილიყოს ბ-ნი მწიგნობარი და არც ის ამბები ხდებოდეს, რომელიც მწიგნობარის მიერ იყო მოთავსებული „სახალხო გაზეთში“.

ამიტომ ჩვენ ტირიფონის ველზე მოსახლე გლეხკაცობა საჯაროდ ვაცხადებთ, რომ დიმიტრი ფანჯარაშვილის მოთავსებული ცნობა სრული სიცრუეა.

ისიც სრული სიცრუეა, ვითომც ჩვენი მინდობილობით იყოს მოთავსებული წერილი „ახალ ფიქრში“.

კიდევ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ მისთვის არაფერი არ მიგვინდია და არც არაფერს მივანდობთ.

რაც შეეხება თქვენს ბოლმას, უნდა მოგახსენოთ რომ ჩაგვიდექით სათავეში, გვიშუამდგომლეთ და ჩვენთვის სულ ერთი იქნება, გელოვანი გვიხსნის თუ ჩხეიძე. თუ რომ შველა გსურთ, ჩვენც მზათ გახლავართ, რაზედაც ხელს ვაწერთ ტირიფონელი გლეხკაცობა. ვსთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

ხელს აწერს 154 ტირიფონელი გლეხი.

ს. ფ.

## კორბოულის წვრილი კრედიტის წევრთა წლიური კრება.

მარტის 24 მოხდა კორბოულის (შორაპნის მაზრა) წვრილი კრედიტის წევრთა საზოგადო კრება წასული 1913 წლის ანგარიშის მოსასმენათ და დასამტკიცებლათ, გამგეობისა და საბჭოს თითო წევრის ასარჩევათ, მიმდინარე წლის ხარჯების დასამტკიცებლათ და სხვა საკითხების მოსასმენათ და მისაღებათ.

ამხანაგობაში ითვლება ამ ჟამად 351 წევრი, რომელთაგანაც საზოგადო კრებას დაესწრო 150 წევრამდი, რის გამოც კრება კანონიერათ ჩაითვალა.

კრებას დაესწრო კრედიტის ინსპექტორი ბ. ალ. ნიჟარაძე, რომელიც ერთხმათ აირჩიეს საზოგადო კრების თავჯდომარეთ. ამას შემდეგ გამგეობის თავჯდომარემ წარუდგინა კრებას წარსული 1913 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რაიცა ერთხმათ დამტკიცებულ იქნა. აგრეთვე კრებამ დაამტკიცა მიმდინარე 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 334 მანეთამდი.

ამხანაგობას გახსნის დროს (1911 წელში) მიეცა სესხათ ბათომის სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან ძირითადი თანხა 2500 მანეთი, ხოლო მოკლევადიანი სესხი კი 4000 მანეთი; ამ თანხას გასულ წლებში მიემატა ამხანაგობის წინაწლების მოგებიდან გადადებული და აგრეთვე მობარებული (ВКЛАДЪ —170 მანეთი) 600 მანეთამდი; სულ კი გასულ წელში ამხანაგობას საწარმოოთ ხელში ჰქონდა 71008 მანეთამდი. მთელი წლის განმავლობაში გაუცია სულ 11,313 მანეთი; ამ სესხით უსარგებლია სულ 340 წევრს.

სესხი წაუღიათ შემდეგი საჭიროებისათვის: მიწის სასყიდლათ 63 წევრს—2285 მანეთი, შენობის სასყიდლათ 27—1075 მ.; ვენახის სასყიდლათ 6—135 მ.; იარაღების სასყიდლათ 2—60 მ.; მუშა საქონლის სასყიდლათ 85—2836 მ.; თესლის სასყიდლათ 47—1627 მან.; სავაჭროთ—12 წევ. 490 მან.; კერძო ვალების გასასტუმრებლათ 95—2715 მან. და საქძოთ—3—90 მან.

ყველა ხარჯისა და სახელმწიფო ბანკის, როგორც ძირითადი თანხის, ისე მოკლე ვადიანი სესხის სარგებლის გასტუმრების შემდეგ, ამხანაგობას წმინდა მოგება დარჩა 152 მან. 69 კაპიკი, რომელიც კრებამ ამნაირათ გაანაწილა: 1) 85 მან. მიემატა ძირითად თანხას; 2) 30 მ. სათადარიგო თანხას; 3) 22 მ. 69 კაპ. გადაიდვა კორბოულის ი. გოგებაშვილის სახელობის წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ და 4) 15 მანეთი კი მიეცა საჩუქრათ, ნიშნათ მადლობისა, ხაზინადარს პლატონ ოქროპირის ძეს კვიჟინაძეს.

შემდეგ მოხდა არჩევანი თითო გამგეობისა და საბჭოს წევრთა, მაგრამ ისევ ძველი წევრები იქნენ დატოვებული თავის ადგილებზე. საზოგადო კრებამ ერთხმათ დიდი მადლობა გადაუხადა, როგორც თავჯდომარეს ბატ. ალ. ნიჟარაძეს, ისე ამხანაგობის გამგეობას ერთგული და ბეჯითი შრომისათვის.

ბ. ნიჟარაძე შეპირდა ამხანაგობას წელს მოკლევადიანი სესხის 12,000 მანეთამდი მომატებას. აგრეთვე გრძელვადიანი სესხის მიცემის შუამდგომლობასაც.

საზოგადოთ წრევანდელი კრება დიდათ განსხვავდებოდა წინა წლების კრებებისაგან წევრთა შეგნებული და გონივრული მსჯელობით და ყოველი საქმის აზრიანი აწონ-დაწონით.

Cuculus.

## სახელმწიფო სათათბირო.

6 ივნისის სხდომა.

სათათბირომ მიიღო უკამათოდ 9 კანონპროექტი. კოვალევსკი არდგენს კანონპროექტს პირველდაწყებითი განათლების საჭიროებისათვის 9,630,219 მან. გადადების შესახებ და აცხადებს, რომ სახალხო განათლების კომისიამ პრინციპიალურათ მიიღო ვორონკოვის შესწორება შესახებ იმისა, რომ სახალხო მასწავლებლებს დაენიშნოს 480 მან. წლიური ჯამაგირი„ მარა მიიღო რა მხედველობაში, რომ ეს ჯერ შეუძლებელია, სურვილი გამოსთქვა შემუშავებულ იქნას ეს საკითხი და რამდენათაც შესაძლებელია გადიდებულ იქნას მასწავლებელთა ჯამაგირებიო. კანონპროექტის 4 განყოფილება უკამათოდ მიიღეს. მეხუთე ნაწილის გამო ვორონკოვი არ ეთანხმება საბიუჯეტო კომისიას და ამბობს, რომ საჭიროა ახლავე გადიდებულ იქნას მასწავლებელთა ჯამაგირებიო. 1914 წლის არა ნაკლებ 420 მან და 1915 წელს კი 450 მანეთის. სასულიერო-სკულის მასწავლებელს კი 60 მანეთი. შინგარევი იცავს ვორონკოვის შესწორებას და აკრიტიკებს საბიუჯეტო კომისიის მოსაზრებებს. ამავე აზრს გამოსთქვამს მამა კროდოვი. გლეხთა სახელით შმაკოვი, ნაციონალისტების კლიუჩოვი და ტარასოვი. კანონპროექტის ეს მუხლი და აგრეთვე მთელი კანონპროექტი მიღებულ იქნა. უკამათოდ მიიღეს 15 კანონპროექტი. სტრუკოვი არდგენს კანონპროექტს ხარჯის ამკრეფ ინსპექტორების ჯამაგირების მომატების შესახებ. პირველი, მეორე და მესამე მუხლები კანონპროექტისა მიიღეს. კადეტების შესწორება: მიღებულ იქნან ქალები ხარჯის ამკრეფის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწის თანამდებობაზე—უარყვეს. უარყვეს აგრეთვე იხსის შესწორებას: ქალების საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე მიღების შესახებ. კანონპროექტის დანარჩენი მუხლები უკამათოდ მიიღეს. იხილვენ კანონპროექტს კერძო საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედების თვალყურის დევნების ორგანიზაციის შესახებ. ლაპარაკობს მარკოვი მეორე. კანონპროექტი მიიღეს.

## სახელმწიფო საბჭო.

4 ივნისის სხდომა.

გოლუბევი თავჯდომარეობს. კამათია დონის ოლქში ცხენების მოშენებაზე. რაკოვიჩი, ვასილიევი და ლევშინი მოითხოვენ სათანადო ყურადღებით მოეპყრას მთავრობა დონის ოლქში ცხენების მოშენებას და კერძო პირთ ჩამოართვას ეს საქმე და ხაზინის ხარჯით აწარმოოს, რადგან დონის ცხენები ფრიად საჭირონი არიან კავალერიისთვისო. საჭიროა აგრეთვე ჯიშის გაუმჯობესება. რუსეთი მდიდარია ცხენებით. სტატისტიკური ცნობებით, მათი რიცხვი 37 ნახევარ მილიონს უდრის, გერმანიაში 4 ნახევარ, ავსტრიაში 4, ხოლო საფრანგეთში 3 მილიონს! ლევშინი ზუბჩანინოვი და უტერბერგერი მოითხოვენ დანიშნულ იქნას ვადა, რომლის განმავლობაშიც მთავრობამ ყველა კერძო მრეწველთაგან გამოისყიდოს ცხენების ქარხნები, ზოგი ვადათ რვა წელიწადს ასახელებს ზოგი ნაკლებს.

ცხენების მომშენებელ სამართველოს მთავარი გამგე შჩერბაკოვი აღნიშნავს, რომ ცხენების უმრავლესობა არ ვარგა ჯარისთვის, მხოლოდ 8 წლის განმავლობაში იქნება შესძლოს მთავრობამ ასეთი რთული საქმის წარმოებაო. მომხსენებელ სტიშინსკის სიტყვის შემდეგ საბჭო შეუდგება კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას. კანონპროექტი მიიღეს. ამასთან საბჭომ გამოსთქვა სურვილი, რომ მთავრობა დიდის ყურადღებით მოეკიდოს ცხენების ჯიშის გაუმჯობესებას. აგრეთვე ადგენს, რომ ცხენების მომშენებელ კერძო სამრეწველოთა ლიკვიდაცია 1923—1927 წლამდი უნდა მოხდეს.

6 ივნისის სხდომა.

თავჯდომარეობს გოლუბევი. მიიღეს სათათბიროს რედაქციით სახელმწიფოს შემნახველ კასების შემოსავლის დაზღვევის კანონპროექტი. ზოგიერთი კანონპროექტი და მათ შორის სახ. საბჭოს და სათათბიროს წევრთა უპასუხისმგებლობის კანონპროექტი გადასცეს საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიას. მიიღეს რამდენიმე კანონპროექტი სათათბიროს რედაქციით. განიხილეს ამურისა და უსურის ყაზახთა ჯარებისთვის მიწის დარიგების კანონპროექტი, რომელმაც კამათი გამოიწვია. გადავიდენ მუხლობრივ განხილვაზე. პირველი 8 მუხლი მიიღეს. მეცხრე მუხლის ძალით უსურისა და ამურის ყაზახებს ურიგდება მიწები სულზე (მამრ. სქესისას) 20 დესეტინა. ამ მუხლმა კამათი გამოიწვია. მიიღეს სხვა მუხლებიც და აგრეთვე მთელი კანონპროექტი კომისიის რედაქციით. მაგრამ, რადგან შესწორება იქნა შეტანილი სათათბიროს პროექტში—კანონპროექტი შემთანხმებელ კომისიას გადასცეს. (შემდეგი სხდომა 9 ივნისს).

# რუსეთი.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

6 ივნისი.

მინსკი. სამრეწველო კრიზისის გამო, ჩრდილო ამერიკიდან ბრუნდებიან სამშობლოში ის გლეხები, რომელნიც იქ იყვენ წასულნი სამუშაოთ. მინსკის მართლმადიდებელი მცხოვრებლები დღესასწაულობენ უნიატების მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთების სამოცდაათუთხმეტი წლის თავს.

ხარკოვი. ქალაქის ახლო-მახლო საშინელი წვიმა მოვიდა. ნიაღვარმა გააფუჭა დათესილი მინდვრები და ბოსტნები.

ტიუმენი. გაიხსნა იარმარკა.

პეტერბურგი. ფარმანის ბიპლანი, რომელშიც ისხდენ ტატოვსკი და კულებოვსკი ფრენის დროს ... ძირს. მფრინავები დაშავდენ, ბიპლანი კი დაიმსხვრა.

არხანგელსკი. „ანდრომედა'' აქიდან ახალ ქვეყანას გაემგზავრა სელოვის საძებრათ.

პეტერბურგი. სათათბიროს საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა კანონპროექტი ქ. ეკატერინობურგში სამთო ინსტიტუტისა და ქ. სამარაში კი პოლიტეხნიკური ინსტიტუტების დაარსების შესახებ.

ოდესა. სამხრეთ გუბერნიის ლუდის მკეთებელთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რათა მან გამორიცხოს ლუდი მაგარი სასმელების რიცხვიდან, რომელნიც გათვალისწინებულია ლოთობის წინააღმდეგ დადგენილ კანონის მიერ. რადგან ლუდი დასავლეთ ევროპაში არ არის მაგარ სასმელთა რიცხვში ჩათვლილი. აირჩიეს კომისია, რომელიც იშუამდგომლებს ამ საქმის გამო. კრება დაიშალა.

სევასტოპოლი. სამხედრო ავიატორი გადოსეკი ბახჩასარაიდან სევასტოპოლს მოფრინდა და შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა —100 წუთის განმავლობაში, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

პეტერბურგი. პეტერბურგს დაბრუნდენ მინისტრები: მაკლაკოვი და საზონოვი. ფრენის დროს ავიატორი შტაბს-კაპიტანი სტოიაკინი ჰაეროპლანიდან გადმოვარდა და იქვე გარდაიცვალა.

სამხედრო მინისტრმა დაათვალიერა პირველი საავიაციო როტის აპარატები. მუშა სპიცინს, რომელსაც სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა კაპიტან შტალის მოკვლისათვის —ეს სასჯელი 20 წლის კატორღათ შეუცვალეს.

# უცხოეთი.

## დეპეშები.

6 ივნისი.

სტამბოლი. საბერძნეთის ელჩს გადაეცა პორტას საპასუხო ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ საბერძნეთის ქვეშევრდომნი იქნებიან დაკმაყოფილებულნი. მცირე აზიაში მომხდარი სამწუხარო ამბები გამოწვეულია მაჰმადიანთა ემიგრაციით მაკედონიიდან. ოტომანის მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა მცირე აზიაში მშვიდობიანობა არ იქნას დარღვეულიო. პორტა გამოსთქვამს სურვილს რომ მეგობრული განწყობილება ორ სახელმწიფოთა შორის კვლავ გაგრძელდეს. მალე მოხდება ელჩთა თათბირი პორტას წინადადების შესახებ. სახელმწიფოთა დელეგატები კი გამოარკვევენ, ემიგრაციის საკითხს.

დურაცო. ალბანეთის მართველის ადიუტანტმა მიიღო აჯანყებულთა წარმომადგენლები, რომელთაც სურვილი განაცხადეს სამი დღის ვადით შეკრან ზავი. მათ უნდოდათ საკანტროლო კომისიასთან მოლაპარაკება, მაგრამ უარი უთხრეს. 4 ივნ. დურაცოდან შიაკისკენ გაემგზავრენ მირიდიტები, მალისორები, რიცხვით 1500, რომელნიც სამ ნაწილათ გაიყვენ. პირველ ნაწილის აჯანყებულნი სროლით შეხვდენ. მირიდიტები დამარცხდენ და გაიფანტენ. ქალაქს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს.

ვენა. კორბიუროს ატყობინებენ: აჯანყებულებმა ბრძოლის დროს დაკარგეს 700 კაცი, ბევრი დაჭრილია.

თეირანი. სხვადასხვა ქალაქიდან ამბები მოდის არჩევნების შესახებ მეჯლისში, რომელიც 8 ივლისს გაიხსნება.

დურაცო. დურაცოში მოსულ აჯანყებულთა პარლამენტებს წერილი ჰქონდათ საკანტროლო. კომისიისთვ ს გადასაცემათ, რომელიც დაიკარგა.

ვენა. კორბიუროს ატყობინებენ: პრენკ-ბიბლოდა 2000 ჯარისკაცით ალეოსიოდან დურაცოსკენ გაემგზავრაო.

პრინცმა რამდენჯერმე დაათვალიერა არტილერიის პოზიციები. მთავრობამ დიდძალი ჯარისკაცი დაკარგა. აჯანყებულებმა დიდი სამხედრო უნარი გამოიჩინეს და ჩაიგდეს ხელთ საუკეთესო პოზიციები.

ბუქარესტი. დაიწყო დამფუძნებელი კრების სხდომები კონსტიტუციის გადასათვალიერებლათ. მეფემ სეფე—სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ კრება შეასრულებს დაკისრებულ საქმეს. შეეხო რა გარეშე საქმეთა პოლიტიკას, მან სთქვა, რომ რუმინია ყველა სახელმწიფოებთან მეგობრულ განწყობილებაშია და სხ. და სხ.

სოფია. სალონიკში დაატუსაღეს ბულ-

---

ითაკილებს!“—ულოცავდენ ქეთოს ნაცნობ-მეგობრები.

ქეთოს ახლაც ახსოვს როგორ წითლდებოდა ამ სიტყვების გაგონებაზე, როგორ უცემდა მიმზიდველათ აბურცულ მკერდს ქვეშ გამოუცდელი გული; თუმცა თავს მართლაც ბედნიერად გრძნობდა რადგან მოსაწონ სიმდიდრესთან, ქმრის ალერსი და სიყვარულიც არ აკლდა. მაგრამ გავიდა დრო ქეთოს თავისი დაემართა და ოჯახური ცხოვრების სიტკბოებას სიმწარეც შეეპარა. ქეთო დედა შეიქნა: გაუჩდა პირმშო, სათაყვანებელი ვალიკო. დედობრივმა სიყვარულმა და მზრუნველობამ დასჩრდილა ცხოვრების გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული კუნჭულები და ბევრი, ძლიერ ბევრი ცრემლი დაადვრევინა ქეთოს.

— „რა უშავს, სრულებით არ იყოს საჭირო სწავლა; მაშინ ხომ ამდენ წვალებას არ გამოვცდიდი; ვალიკოც მუდამ გვერდში მეყოლებოდა“—ქეთოს გუშინდელსავით წარმოუდგა ვალიკო ჯერ კიდევ უსუსური და ქორფა, აკვანში რომ ეწვა. აი, ის ბამბის ქულასავით რბილი და მურგვით რგვალი, არტახებ შეშვებული ხელებს აფათურებს,—„ალუ-ალუს“ ბუზღუნებს; სასაცილოდ ცმუკავს.

— „ბედნიერი დედა ხარ, ქეთო, რომ ასეთი პირმშო გაგაჩნია; ნამდვილი რაინდი დადგება!—ულოცვენ სიყვარულით თავბრუდახვეულს დედას.

— „გმადლობთ, ბატონებო, ცოცხალი მყავდეს და ჩემთვის ისიც კმარა!—უპასუხებდა ქეთო; პირმშოს თვალს არ აშორებს; მუდამ იმაზე ფიქრობს; უნდა სულში ჩაიძვრინოს.

აი, ვალიკო წამოიზარდა; მთელი დღე ეზოში დაბუდრუგუნობს, არ ისვენებს, ცელქობს. და მერე რა ანჩხლი, რა მიუკარებელი რამაა: დღე არ გაივლის თავპირი არ დაიკაწროს; თავის ტოლ ბალღებს სასაცილო ჩხუბი არ აუტეხოს.

— ახირებული ბავშია ღმერთმანი; არ ვიცი ვის დაემზგავსა: ავაზაკობას აქიდანვე ეჩვევა! ხშირად ამბობს მალხაზი, როცა გაანჩხლებულ ვალიკოს მოუსწრობს, შესაშინებლად ბავშს მრისხანეთ გადახედავს; მაგრამ ვალიკოს გამომეტყველება მალხაზს ძალაუნებურად სიცილს გვრის და ხელოვნური მრისხანება ალერსად იქცევა. „მამა, მე შენთან მინდა“ —ბუდბუტებს ვალიკო, მამის მუხლებზე ჰპანწყვეტით მიცოცავს; ხელებს სახეზე უფათურებს, წვერებს უწეწავს და თვალებში ჰკოცნის.

აი, ვალიკო შკოლაშიაც დადის—„ადექი, ვალიკო, შკოლაში დაიგვიანებ“. —დამაცათ ცოტა შეუძლოთა ვარ!—ბუზღუნებს ვალიკო, საბანში ეხვევა, კვნესის კიდევაც, მაგრამ არ უჯერებენ; ტანზე ძალათ აცმევენ; ჩაის შემდეგ საწიგნეში მოზდილ კერძს ულაგებენ და ვალიკოც შკოლაში მიჩანჩალებს.

(შემდეგი იქნება).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიაბნის სითხით
ვენახების საქმით მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის ძლიერ ზომიერ ფასად ნამდვილი ინგლისური შაბიამანი,
გოგირდის ფხვნილი, ქაკმენის სითხე.
მანქანების უცვლელგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.
მიხაილოვის ქუჩა,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთისსამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

გარეთის საელჩოს დრაგომანი. ბულგარეთმა ამაზე პროტესტი განაცხადა და მოითხოვა დრაგომანის განთავისუფლება. ხმები დადის; ბულგარეთმა გადასწყვიტა ნეიტრალიტეტი დაიცვას იმ შემთხვევაში თუ მოხდება კონფლიკტი საბერძნეთისა და ოსმალეთის შორის.

ვენა. ვენის თითქმის ყველა გაზეთი ილაშქრებს იტალიის წინაამდეგ.

დურაცო. გუშინ შუაღამისას მოვიდა ალბანეთის მთავრობის მიერ დაქირავებული გემი „გერცოგოვინა“ რომელზედაც ზარბაზანი მოათავსეს, დილით ამ გემიდან სროლა ასტეხეს; მთავრობას ეს განზრახვა წინდაწინვე არ უცნობებია საკანტროლო კომისიისათვის. დიპლომატებში უკმაყოფილება გამოიწვია ამ სროლამ, რადგან მას შეეძლო შეცდომაში შეეყვანა აჯანყებულნი. შუადღისას საკანტროლო კომისია შეიკრიბა და დაადგინა გაუგზავნონ თურხან-ფაშას დეპუტაცია იმის გამოსარკვევათ, თუ რათ დაიკარგა ის წერილი, რომელიც გამოგზავნილი იყო აჯანყებულების მიერ საკანონმდებლო კომისიის სახელზე. თურხან-ფაშამ განაცხადა, რომ კაბინეტის წევრებმა არა იციან რა ამ წერილის შესახებ, მაგრამ მაინც მზათ არიან ბოდიშიც კი მოიხადონ ამ ამბის გამო. კომისიამ უპასუხა თურხან-ფაშას, რომ კომისიას სურს აღმოაჩინოს დამნაშავენი ხუთი დღის განმავლობაში. საკანტროლო კომისიაში გამოცხადდა ჰოლანდიის ჟანდარმერიის უფროსი და მოიტანა წერილი კონვერტით და განაცხადა, რომ მას ეს წერილი მოუტანეს ჟანდრებმა. მან ბოდიში მოიხადა, რომ წერილი გახსნა, რადგან მან არ იცოდა კითხვა. ამ წერილში ის სურვილია გამოთქმული, რომელიც განაცხადეს აჯანყებულთა პარლამენტებმა, ე. ი. ზავის შეკვრა სამი დღის ვადით.

## დაბა-სოფელი.

სოფელი ფუთი (ზემო იმერეთი). ს. ფუთი, ხუთი წლის წინათ, ზემო იმერეთის ერთ საუკეთესო სოფლათ ითვლებოდა. დღეს კი დიდი სამწუხარო და სავალალო შეიქნა მისი ბედი, მის შემდეგ, რაც დაუცხრომელმა ვითომდა საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალულმა და ხალხისადმი გულშემატკივარმა თაოსანმა პირებმა ერთმანეთ შორის კინკლაობა არ მოშალა. თუნდა კაცი დიდის შრომის უნარით იყოს გამსჭვალული, ძალიან გაუჭირდება, რომ ამ სოფელში რაიმე საკეთილდღეო საქმე განიზრახოს და სისრულეში მოიყვანოს.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ს. ფუთში სამრევლო შკოლა არსებობს, მაგრამ არა და არ იქნა მისი დასასრული შარშანდლამდი; მასწავლებელი ისევ აქაურები ინიშნებოდენ და, რადგან შკოლას საკუთარი შენობა არ ჰქონდა, ყველა მათგანი თავის საკუთარ შენობაში ათავსებდა შკოლას და ყველა თავის ნებაზე ახდევინებდა სასწავლებელ ფულს. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი შკოლა მოითხოვდა განახლებას. სოფლელებმაც შექნეს განგაში და, როგორც იქნა, შესაფერი განაჩენიც დაადგინეს. იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭომაც მეორე მასწავლებელი გამოგზავნა. შემდეგ ასტყდა გლეხებთა შორის დავა იმის შესახებ თუ სად ამოერჩია საშკოლო ადგილი. დიდი დავიდარაბის შემდეგ, გადაწყდა ეს საკითხიც. დიდი მოხარული ვიყავით, ასე იყო თუ ისე, რომ ვღირსეთ სასწავლებელს, სადაც შეგვეძლო „ჩვენი ლუკმა პურით აღზდა ჩვენი შვილებისა, მაგრამ რა მოხდა: ნეტარების მოლოდინში ბნელეთში ჩავცვინდით მას შემდეგ, რაც ამ სოფელში მასწავლებლათ გადმოიყვანეს მასწ. ნინიკაშვილი, რომელიც ისე ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც მუნჯი „ორატორობას“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ისე გავაოთხი ხუთი დღე, რომ შკოლაში არ მობრძანდება ეს ვაჟბატონი, და თუ მოვიდა, ისიც 11 საათზე. რა უნდა გააკეთოს ესეთმა მასწავლებელმა, რომელიც ხუთი ვერსით დაშორებულია შკოლაზე, და რომელიც უფრო თავისი ადგილ-მამულის ინტერესებით არის გაჟღენთილი, ვიდრე სწავლა-აღზდის უნარით?!

სურბულაშვილი.

## თეატრი და ხელოვნება.

დ. სამტრედიაში ოთხშაბათს, 4 ივნისს, სამტრ, რკ. გზ. თეატრში—თფილისის დასმა ვ. გუნიას მეთაურობით და ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ისტორიული პიესა „კონსტანტინე ბატონიშვილი“ (ქეთევან წამებული). წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ერთი რამ: ბილეთების სიძვირის გამო, არა ერთი და ორი დაბრუნდა სახლში. იმედია, ამ გარემოებას დასი მომავალში ყურადღებას მიაქცევს და შეძლებას მისცემს ყველას, ვისაც კი გულით დასწრება სურს და ნივთიერი მხარე კი ხელს არ უწყობს, დაესწროს წარმოდგენას.

დასი აქიდან ფოთისკენ წავიდა.

სან-კანი.

## შემოწირულობა.

ნაფ. ვექილის თანაშემ. ბეჟ. ვას. ხუნდაძემ განსვენებული პავლე კახაძის ხსოვნის საპატივსაცემლოთ, გვირგვინის ნაცვლათ, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გადასცა 12 მან. შემოწირული შემდეგი პირებისაგან:

ა) დათიკო ლოლობერიძე—3 მ., ბ) კოწია დათეშიძე—2 მ., გ) ბეჟან ხუნდაძე—3 მ., დ) გრ. გიორგაძე 1 მ., ე) ის. ჭეიშვილი—1 მ., ვ) დავ. ლორთქიფანიძე—1 მ., ზ) ნიკოლოზ ქიქოძე—1 მ.

გამგეობა მადლობას უძღვნის პატივცემულ შემომწირველთ.

განყოფილების მოლარე
ბართლომე მოსეშვილი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატ. რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის 70-ე ნუმერში მოთავსებულია ბ. ლადო ბზვანელის წერილი „სახალხო მასწავლებელთა იუბილე“. პატივცემული ავტორი განმეორებით*) გამოსთქვამს იმ აზრს, რომ საჭიროა ხანგრძლივათ ნამსახურს და დამსახურებულ სახალხო მასწავლებლებს შრომა დავუფასოთ და იუბილე გადავუხადოთ. უპირველეს ყოვლისა ავტორი მე მცნობს იუბილეს ღირსათ, როგორც ყველაზე მეტ ნამსახურ მასწავლებელს. ნება მიბოძეთ, ბ. რედაქტორო, მადლობა მოვახსენო ბ. ლადო ბზვანელს პატივისცემისა და გახსენებისთვის. ამასთანავე უნდა დავსძინო შემდეგი: მე, რა თქმა უნდა, სავსებით ვიზიარებ იმ აზრს, რომ სახალხო მასწავლებლის მძიმე შრომა ღირსია დაფასებისა და საზოგადო ყურადღების, მაგრამ რაც შემეხება პირადათ მე, ჩემი მოღვაწეობის რამე დღესასწაულით აღნიშვნა ჩემთვის უხერხულათ მიმაჩნია, მით უფრო რომ 3—4 წელიწადია, მასწავლებლობას ჩამოვშორდი. ჩემი იუბილეს გადახდის სურვილი ამ 19 წლის წინათაც გამოსთქვეს ჩემმა მეგობრებმა და ყოფილმა მოწაფეებმა, მე მაშინაც უარი განვაცხადე ამის შესახებ და იძულებული ვარ ახლაც კატეგორიული უარი ვსთქვა.

გიგო შარაშიძე.

—

ნება მომეცით აღვნიშნო თქვენს პატივცემულ გაზეთ „იმერეთში“ ერთი სამწუხარო ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხების საღამოზე ამა წლის 31 მაისს.

გზათა ინსტიტუტის სტუდენტმა კუზანოვმა აღნიშნულ საღამოზე შეკრებილ საზოგადოების წინაშე ლაფში ამოსვარა მთელი ებრაელთა ერი და არავითარი საშუალება არ დაიშურა, რათა, რაც შეიძლება, უფრო სასტიკათ მოეხსენებია ისედაც დაჩაგრული და დაბეჩავებული ერი. ერთი სიტყვით მან ისე ისახელა თავი თავისი მოქმედიბით, რომ უკვე „ცნობილი“ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი არუტინიანცი სიხარულით გაუწვდის მას მეგობრულ ხელს.

ამ მოკლე მიმართვას უნდა დავურთო ის, რომ ამ ჟამათ მე სხვა მოვლენაც მაინტერესებს, სახელდობ ის, რომ არც ერთმა გამგეთაგანმა ზემო აღნიშნულ საღამოისა არავითარი ყურადღება არ მიაქცია სტუდენტ კუზანოვის მოქმედებას თითქოს რაღაც ჩვეულებრივი ხდებოდა, რაც არ იყო ყურადღების ღირსი. ნუთუ უკეთესი არ იქნება სულ არ მიყიდონ ბილეთები ებრაელებს, რათა ამ ზომით მაინც ასცდეს ხოლმე მათ ლანძღვა-გინება.

ი. იაკობსონი.

*) პირველათ ეს აზრი გამოთქვა მან გაზ. „ერში“ და განათლებაში“.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჰელიძე.




სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში მყოფის ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის, მიის მზომლობისა, საამშენებლო და სამეურნეო განყოფილებიანს
თფილისის პოლიტეხნიკურ კურსებზე
პირველ სემესტრში გამოუცდელათ მიიღებიან: 1872 წლის დებულების სამოქალაქო სასწავლებლისა, ან და მისი მოთანასწორე სასწავლებელ დასრულებული პირები. მიწისმზომლობის განყოფილების დამსრულებლებს, თუ საჭიროება იქნება, სამიჯვნელო ნაწილის გამგე თანაშემწეების კანდიდატებათ და მიწის მომწყობი კომისიის მიწის მზომლებათ ირჩევს. (სამიჯვ. ნაწ. გამგის 1914 წ. 22 თებერვლის 1072 ნუმრის მოწერილობა). მიწისმზომლობის განყოფილებაში ორი წლის კურსია, საამშენებლოსა და სამეურნეოსაში კი ორი წლინახევრის. პროსპექტებს ვგზავნით ექვსი შაურის საფოსტო მარკების მიღებისთანავე.
მისამართი: თფილისი, პუშკინის ქ. № 8 ტელ. 10—30.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდი და საღ. 8—9 საათამდი.
მისამართი: თფილისი, პუშკინის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

სამკურნალო აბანო.
ძმ. ჟორჟოლაძეების
სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე
თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.
ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარეიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე საღგურ „სერნია ვოდში“. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში“ იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.
წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ
ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები


ყველაზე იაფთ.
შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა„, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.